

პოლიტიკოსები სტუმრად თოქ-შოუებში

მომხსენებლები: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტები - ნინო გოგიშვილი, მარიამ დავითაძე

- სარჩევი
 1. აბსტრაქტი - გვ. 1
 2. შესავალი - გვ. 2-3
 3. ლიტერატურის მიმოხილვა - გვ. 3-5
 4. მეთოდოლოგიის აღწერა - გვ. 5-6
 5. ძირითადი მიგნებები - გვ. 7-10
 6. დასკვნა - გვ. 10
 7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - გვ. 10

- აბსტრაქტი

ჩვენი კლევის კითხვაა - რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თოქ-შოუებში? იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, მათი წარმომადგენლები არ მიდიან ყველა არხსა თუ თოქ-შოუში დავთვალეთ რამდენჯერ იყვნენ პოლიტიკოსები „სტუმრად“ და არა „მიწვეულნი“. კლევის კითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევა და კონტენტ ანალიზი. პირველის შემთხვევაში ზუსტადაა ნაჩვენები რაოდენობა, მეორეს გათვალისწინებით კი ნაჩვენებია შინაარსი. ასევე, გამოყენებულია ე.წ. ჩარჩოსთვის მეორადი წყაროს ანალიზი. დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვამს, რომ ნაჩვენებია ტელევიზიების პოზიცია პარტიების მიმართ. ეს იკვეთება მეორად წყაროებშიც და მსგავს სურათს ვიღებთ სამ კვირიანი დაკვირვების შემდეგაც, რომელშიც ჩართული იყო ექვსი ტელევიზია.

- შესავალი

იმ რეალობაში, რაშიც დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ პოლიტიკას დიდი ადგილი უკავია. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ თემის ირგვლივ ტრიალებს და თუ მედია პლატფორმებსაც გადავხედავთ ვნახავთ, რომ უმეტესი ყურადღება პოლიტიკურ თემებს ეთმობა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი საკვლევი კითხვა ასეთი ფორმულირებით ყოფილიყო - რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თოქ-შოუებში? უშუალოდ აღნიშნული კლევის მიზანია დავადგინოთ თუ რამდენჯერ სტუმრობენ პოლიტიკური პარტიები ამა თუ იმ ტელევიზიებს და უშუალოდ თოქ-შოუებს. საინტერესოა, არის თუ არა ბალანსი დაცული და რაც ყველაზე მთავარია, რომელიმე ტელევიზია მათ ხომ არ ბლოკავს,

ნაკლებად ხშირად ან პირიქით უფრო ხშირად ხომ არ იწვევს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას. აქვე, უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როდესაც თავად პოლიტიკოსები სტუმრობისგან იკავებენ თავს ან პირიქით, რადიკალურ უარზეც არიან. ვფიქრობ, საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანია ეს კვლევა. განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩართულნი არიან პოლიტიკაში და ვისთვისაც ჟურნალისტური ეთიკური სტანდარტები, ასევე სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით ამ შინაარსის კვლევები უკვე ჩატარებული არის და გარკვეული დასკვნაც არსებობს ვფიქრობ, ზუსტად ამ შინაარსით და კონკრეტულად სწორად არჩეული ტელევიზიებით შესაძლებელი იქნება ახალი აღმოჩენების გაკეთება, ან თუნდაც ძველის უფრო მეტად გამტკიცება. რაც მთავარია, კვლევის სეგმენტი არ არის მწირე. პირიქით, ეს იქნება მნიშვნელოვანი როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებისთვის. მათ ექნებათ შესაძლებლობა ნახონ გარკვეული სურათი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული ნამუშევრით დაინტერესდება თავად ტელევიზიის წარმომადგენლები და შესაძლებელია დასკვნის შემდეგ კურსიც კი შეიცვალოს.

- ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც დასაწყისში აღვნიშნე კვლევისთვის საჭიროა არსებობდეს ე.წ. ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ვიხელმძღვანელებთ. ჩვენს შემთხვევაში ამის შექმნა არ იყო საჭირო, რადგან შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეყენებინა უკვე ჩატარებული კვლევები. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის თანახმად, მეორე ტურს არცერთი არხის თოქ-შოუმ არ მიაქცია ყურადღება, არ გამართულა კანდიდატებს შორის დებატები. ყველაზე დიდი მასშტაბით შუქდებოდა „ობიექტივზე“, მათთან მიწვეული იყო „პატრიოტთა ალიანსის“ 44 წევრი, ხოლო დანარჩენი პარტიის მხოლოდ 8 წარმომადგენელი. რაც შეეხება, რუსთავი 2 - სა და „იმედს“ თოქ-შოუებში არცერთხელ არ მიუწვევიათ „შენების მოძრაობა“, რომლის თავმჯდომარეც იყო დავით უსუფაშვილი. ამ სიას ემატება „იმედის“ არხზე „ლეიბორისტული პარტია“, რომლის

თავმჯდომარეც არის შალვა ნათელაშვილი. კვლევაში ასევე ვკითხულობთ, რომ დისკუსია თოქ-შოუებში არ ყოფილა - „ისე დასრულდა წინასაარჩევნო კამპანია, რომ თემატური დისკუსია, კანდიდატების პროგრამების ანალიზი ტოქშოუებიდან აუდიტორიას არ მოუსმენია. შესაბამისად, გაურკვეველი დარჩა რომელი საარჩევნო სუბიექტების დაპირება იყო რელევანტური და რამდენად მოაგვარებდა ის არსებულ პრობლემებს“. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგმა რეგიონალურმა არხმა მეორე ტურის მერე შეწყვიტა თოქ-შოუები, ნაწილმა კი არასტაბილურად განაგრძო. მაგ, „გურჯაანი“ , „ოდიში“.

მეორე კვლევა „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ მიერ ჩატარებულ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. მასში განხილულია რვა ტელეარხის თოქ-შოუ, დაახლოებით 2 თვის განმავლობაში. სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ: პრეზიდენტი, მთავრობა, პოლიტიკური პარტიები. კანონის ვალდებულების მიუხედავად, უმეტეს არხზე პრეზიდენტთა დებატები არ ყოფილა, გამონაკლისია აჭარის და პირველი არხის ტელევიზია. „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე მხოლოდ ერთხელ, „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუში იყო სტუმრად. პირველი არხის შემთხვევაში, მათ ყველა პარტიის წარმომადგენელს შესთავაზეს დებატი, არცერთი მათგანი არ დაუბლოკავთ - „ამის შედეგია ის, რომ მაგალითად, კახა კუკავა და კახაბერ ჭიჭინაძე სამჯერ, გიორგი ლილუაშვილი, ბესარიონ თედიაშვილი და მიხეილ გელა სალუაშვილი კი ორ-ორჯერ მონაწილეობდნენ ამ გადაცემაში“. რუსთავი 2-ის შემთხვევაში გადაცემებს სტუმრობდა ოპოზიციისა და მმართველი გუნდის წარმომადგენლები, მაგრამ ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც უფრო მეტად ოპოზიცია იყო მიწვეული, მათ კითხვებზე და ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალება კი მმართველი გუნდისთვის არ მიუციათ. იმედის თოქ-შოუ „პირისპირში“ ყველა ფლანგის წარმომადგენელი იყო სტუმრად, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ იღებდნენ გადაცემაში მონაწილეობას, როგორც წამყვანმა აღნიშნა ეს თავად პოლიტიკოსების გადაწყვეტილება გახლდათ.


შემდეგი კვლევა არის 2012 წლის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი, რომელიც 9 ივლისიდან 2 სექტემბრამდე ხორციელდებოდა. არჩეული იყო ოთხი არხი - პირველი არხი, მაესტრო, კავკასია და მეცხე არხი. პირველ არხზე აირჩა ორი თოქ-შოუ „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები“. ორივე გადაცემაში მოწვეული იყვნენ, როგორც მმართველი გუნდის წევრები, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლები, ექსპერტები მთავრობის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს ის, რომ „აქცენტების“ გადაცემაში ოპოზიცია მხოლოდ ქართული ოცნების სახით იყო წარმოდგენილი. მაესტროზე აკვირდებოდნენ 4 გადაცემას : „სუბიექტურ აზრში“ ძირითადად ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი სტუმრები იღებდნენ მონაწილეობას, უფრო მეტად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ სტუმრად. „პოლიტმეტრში“ ყველა მხარის წარმომადგენელი იკავებდა სტუმრის სტატუსს - მაესტროზე გასულ თოქ-შოუებს შორის „პოლიტმეტრი“ ერთადერთი იყო, რომელსაც სტუმრობდა პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი. აღსანიშნავია, რომ „სუბიექტური აზრისა“ და „არგუმენტებისგან“ განსხვავებით, პოლიტმეტრი ოპოზიციური სპექტრის მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. დარჩენილ ორ გადაცემაში სტუმრებთან მიმართებით მეტნაკლები ბალანსი იყო დაცული. კავკასიის ორ თოქ-შოუში - „ბარიერი“ და „ცხელი ხაზი“ ძირითადი სტუმრები მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები არიან, ხოლო თუ პოლიტიკოს სტუმარს მიიწვევდნენ, მაშინ ისინი ძირადად ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. - „იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა უარყოფითი დამოკიდებულება მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ“. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე რესპოდენტი რამდენჯერ იყო მიწვეული. და ბოლოს, მეცხრე არხი. მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა სამი გადაცემა. ესენია: „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“. არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ თოქ-შოუში მოწვეული არ იყო მმართველო გუნდის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ყველა მათგანში მიწვეულია ხელისუფლების მიმართ დაპირისპირებული მხარეები.

- მეთოდოლოგიის აღწერა


მთლიანად კვლევისთვის გამოვიყენეთ ორი მეთოდოლოგიის ხერხი - რაოდენობრივი და კონტენტ ანალიზი. უშუალოდ ეს არის რაოდენობრივი კვლევა, რომელიც საჭიროებს ზუსტად დავთვალთ სტუმართა რაოდენობა. მეორე ხერხად გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, რომელიც საჭიროა კვლევის წარმართვისთვის და დაკავშირებულია ტელეარხების შინაარსის შესწავლასთან. ჩვენ მიერ რეიტინგის მიხედვით არჩეული ტელევიზიების ჩამონათვალი ასეთია - რუსთავი 2, მთავარი, იმედი, ფორმულა, აჭარის საზ. მაუწყებელი და TV 1. რაც შეეხება თოქ-შოუებს, დავაკვირდით ყველა არხის თითოეულ თოქ-შოუს. : რუსთავი 2 – „დღის კურიერი“ , „ღამის კურიერი“ ; მთავარი - „მთავარი აქცენტები“ , „ღამის მთავარი“ , „დღის სტუმარი“ ; აჭარის საზ. მაუწყებელი - „თავისუფალი სივრცე“ , „მთავარი აჭარაში“ , „სათქმელი“ ; იმედი - „ღია ეთერი“ , „დღის ქრონიკა“ , „არენა“ , „შაბათის ქრონიკა“ ; ფორმულა - „პოლიტიკის ფორმულა“ , „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ ; TV 1 – „რეაქცია“ , „პოლიტმეტრი“ , „დიანა ტრაპაიძის დღის ამბები“ , „ანა წერეთლის დღის ამბები“ , „თეონა ბაკურაძის დღის ამბები“ , „ანა ახალაიას დღის ამბები“ , „რუსუდან დუმბაძის დღის ამბები“ , „თამარ ჩიხლაძის ღამის ამბები“. კვლევის უშუალოდ დაწყებამდე გავეცანით მეორად წყაროებს იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი შინაარსის კვლევას არ აქვს ე.წ. ჩარჩო. მეორადი წყაროების ჩამონათვალი ასეთია - 2012 წლის წინასაარჩევნო, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა“ და „მემო 98“-ის მიერ შედგენილი კვლევები. ასევე, 2017-2018 წლები წინასაარჩევნო ანგარიშები. აღნიშნულ გადაცემებს ვაკვირდებოდით 3 კვირის განმავლობაში (13 მაისიდან - 2 ივნისამდე). საბოლოოდ, დასკვნის სახით მხოლოდ და მხოლოდ ტელეკომპანია „იმედის“ თოქ-შოუებში იყო მიწვეული ერთი პარტია, „ქართული ოცნების“ სახით. ყველაზე ბევრი პოლიტიკური პარტიას შევხვდით TV 1-ში. რაც შეეხება, დანარჩენ ტელევიზიებს პარტიათა მრავალფეროვნებით TV 1-ის შემდეგ ლიდერობს მთავარი არხი (11 პარტია), მათთან ყველაზე ხშირად მიწველნი იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, ხოლო ყველაზე ნაკლებად „თავისუფალი დემოკრატები“. ფორმულასა და რუსთავი 2-ს თანაბარი რაოდენობა აქვთ (10 პარტია). რუსთავი 2 ყველაზე


ხშირად „ქართული ოცნებას“ სტუმრობს, ხოლო ფორმულას შემთხვევაში ლიდერობს „ევროპული საქართველო“. რაც შეეხება აჭარის საზ.მაუწყებელს, მოწვეული იყო 9 პარტია, მათგან ყველაზე ხშირად „ქართული ოცნება“.

- ძირითადი




მიგნებები






რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუებში

13 მაისი - 2 ივნისი, 2020



რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტელეკომპანია „მთავარის“ თოქ-შოუებში


13 მაისი - 2 ივნისი, 2020






რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტელეკომპანია „აჭარის“ თოქ-შოუებში

13 მაისი - 2 ივნისი, 2020



რამდენჯერ იყვნენ სტუმრად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტელეკომპანია „ფორმულას“ თოქ-შოუებში

13 მაისი - 2 ივნისი, 2020



- დასკვნა

დასკვნის სახით წარმოდგენილია ჩარტები, სადაც ასახულია თუ რამდენჯერ, რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ სტუმრად აღნიშნული ტელევიზიების თოქ-შოუებში. უნდა აღინიშნოს ტელეკომპანია იმედის თოქ-შოუები, სადაც მხოლოდ „ქართული ოცნება“ წარმოდგენილი. ფართო მასშტაბის სტუმართა სია კი აქვს TV 1-ს, შემდეგ მოდის „მთავარი“, რუსთავი 2, ფორმულა და ბოლოს აჭარის საზ.მაუწყებელი. აქვე, აუცილებლად უნდა გავმეორდეთ და ვთქვათ, არის შემთხვევები, როდესაც უშუალოდ სტუმრები თოქ-შოუში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. ამიტომ ჩვენ გამოვიკვლიეთ რამდენჯერ იყვნენ პოლიტიკოსები „სტუმრად“ და არა „მიწვეულნი“.

- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. [საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია](#) - 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა (9 ოქტომბერი - 19 ნოემბერი), თბილისი 2017 წელი;

2. [საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია](#) - 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა (1 აგვისტო - 15 ოქტომბერი), თბილისი 2018 წელი;
3. [CRRC](#) - თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი (9 ივლისი - 2 სექტემბერი), თბილისი 2012 წელი.